ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘ | № 170 (12378) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲬᲛᲘᲜᲓᲝᲗ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘ ᲜᲐᲛᲯᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ ᲮᲕᲜᲐ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲖᲠᲐᲚᲐᲓ!

○ ○ ○

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲝ!

ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ!

○ ○ ○

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲐᲤᲔᲑᲐ!

ᲓᲐᲕᲣᲮᲛᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲮᲝᲠᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲮᲕᲠᲔᲚᲘ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲕᲐᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲪᲮᲐᲓᲧᲝᲤᲡ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ XXII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲛ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲖᲔ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ, ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲔᲑᲖᲔ. ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲜ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲡ

ᲣᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲡᲚᲔᲑᲘᲐ ᲙᲣᲠᲔᲣᲚᲘ. ᲛᲝᲛᲙᲘᲚᲔᲑᲘ, ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲩᲐᲥᲐᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲐᲗᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲐᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲓᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲐᲑᲘᲜᲐᲜᲗ. ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲣᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲣᲙᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲠᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ (ᲒᲐᲠᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ) ᲗᲣᲓᲔᲠᲘ ᲮᲔᲓᲐᲗ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲠᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ) ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲒᲠᲝᲛᲐᲠᲗᲡ Მ. ᲐᲠᲩᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘ Მ. ᲨᲐᲚᲘᲞᲩᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘ Ვ. ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲨᲔᲐᲯᲣᲠᲗᲔᲑᲔᲜ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲨᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ.

ᲥᲕᲔᲛᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲮᲕᲜᲐ ᲡᲐᲑᲐᲠᲘᲯᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲮ ᲐᲣᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲮᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲐ. ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲮᲕᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ 140-150 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ.

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲗᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. ᲧᲣᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲡᲘᲪᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ. ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲢᲔᲮᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲔᲛᲡᲕᲐ. 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲢᲔᲮᲘᲚᲘᲐ 6.083 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲖᲝᲜᲐᲠᲛᲔᲢᲠᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲙᲘ, ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ 1.107 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲖᲝᲜᲐᲠᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ.

ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲙᲘᲡ ᲨᲔᲢᲔᲮᲐᲨᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ, ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲔᲑᲘ.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲗᲕᲔᲓᲔᲑᲘᲐ. ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲗ ᲗᲐᲛᲑᲐᲩᲙᲘᲡ ᲨᲔᲢᲔᲮᲕᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ: ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ — ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲭᲙᲐᲓᲣᲐᲨᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲝᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ; ᲛᲐᲠᲪᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ — ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲚᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜ-ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ; ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ — ᲠᲣᲑᲝᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲣᲑᲝᲡ ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜ-ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲮᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲚᲐᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ; ᲛᲔᲐᲑᲠᲨᲣᲛᲔᲝᲑᲐᲨᲘ — ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲒᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.).

ᲛᲔᲩᲐᲘᲐ ᲨᲣᲥᲣᲠᲘᲡ. ᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲚᲘᲐᲜᲘ „ᲓᲠᲝᲨᲐ“ ᲐᲒᲖᲔᲗᲔᲑᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲒᲐᲠᲗᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲝᲚᲘᲐ ᲨᲔᲣᲖᲘᲠᲘᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲐᲚᲗᲣᲑᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲒᲣᲑᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. ᲛᲐᲡ ᲨᲣᲥᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲨᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ.

Ო. ᲨᲣᲨᲘᲠᲘᲫᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲐ 4.300 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ. ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ 90 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲞᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐᲐ. Ო. ᲨᲣᲨᲘᲠᲘᲫᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ 70-90 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ.

ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲓᲝ 15 ᲐᲒᲒᲘᲡᲢᲝᲛᲓᲔ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲝᲡ 6.000 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ.

(ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.).

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲥᲐᲯᲗᲐᲠᲐᲫᲔᲛ 1959 ᲬᲚᲔᲚ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲭᲐᲚᲩᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲗᲐᲗ — ᲛᲔᲪᲮᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲐᲨᲘ, ᲗᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐᲖᲔ. ᲐᲮᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲢᲣᲧᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲡᲐᲠᲒᲝᲜᲝᲛᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲒᲠᲝᲛᲐᲠᲗᲡ Მ. ᲐᲠᲩᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘ Მ. ᲨᲐᲚᲘᲞᲩᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘ Ვ. ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲨᲔᲐᲯᲣᲠᲗᲔᲑᲔᲜ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲨᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ.

ᲥᲕᲔᲛᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲮᲕᲜᲐ ᲡᲐᲑᲐᲠᲘᲯᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲮ ᲐᲣᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲮᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲐ. ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲮᲕᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ 140-150 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ.

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲗᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. ᲧᲣᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.



ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ, ᲮᲜᲐᲕᲔᲜ ᲜᲐᲬᲕᲔᲠᲐᲚᲡ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (ᲡᲐᲪ. ᲙᲝᲠ.). ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲦᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲒᲓᲔᲑᲐ. ᲙᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲩᲐᲥᲐᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲐᲗᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲐᲘᲦᲝᲜ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲓᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲐᲑᲘᲜᲐᲜᲗ. ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲣᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲣᲙᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲭᲐᲚᲩᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲛ, ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲕᲘᲠᲘᲜᲓᲐ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲥᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲒᲓᲔᲑᲐ. ᲙᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲛ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲗᲐ ᲛᲔᲡᲘᲯᲔᲣᲠᲑᲛᲐ ᲨᲔᲘᲒᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲓᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲐᲑᲘᲜᲐᲜᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲯᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ, ᲓᲐᲑᲣᲚᲣᲚᲔᲑᲐ, ᲡᲘᲚᲝᲡᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲕᲬᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲪᲓᲔᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ. ᲛᲐ�გᲐᲚᲝᲗᲐᲓ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲭᲐᲓᲘᲯᲕᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘ�გᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲝᲜᲚᲝᲑᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲪᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲘ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲛ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲛᲝᲥᲛᲔ�დᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 2 ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ. ᲡᲐᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲝ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲡᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐᲘᲫᲔᲑᲡ ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲝᲛᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲗᲐᲗ „ᲓᲢ-54“ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ.

ᲞᲣᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲐᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲪᲮᲝᲠᲐ ᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲦᲚᲘᲡ ᲗᲣᲐᲮᲚᲝᲒᲓᲔᲑᲐ. ᲙᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ვისწავლოთ ნოვატორი მშენებლებისაგან

ხელმაღლიანი

ჰაცი, რომელიც აშენებს ჩვენს დედაქალაქს

ძველათ, ჩემს ბაბუობაში, კახეთში ერთი ასეთი ამბავი გავიგოთ და ჩავიწერე: თურმე კვდებოდა მობუცი პაპა, და მთელი ვეება ოჯახი, შვილები და შვილიშვილები, ბერიკაცს თავს დასტრიალებდნენ; თუმცა მან ოთხმოცე წელზე მეტი იცოცხლა, მაგრამ მაინც არ ეთმობოდათ, არ ემეტებოდათ სიკვდილისათვის — და მარტო შინაურებს კი არა, მთელი კახეთი შეძრული იყო, ალაზან-გაღმიდან გამოდიოდა ხალხი და იმის ამბავს კითხულობდა.

ალალი კაცი იყო ეს მოხუცი, ბევრიც გეფიქრა, ბევრიც გეთვალიერებინა იმისი ოთხმოცი წელი, თურმე შენაწყენ-შენაცოდარს ვერას გაუხსენებდი. მადლი კი ბევრი დაეთესა. სიზმარი რომ ენახა კარგი, ალბათ იმასაც გაგიგიოდა — სიზმრის გაგოფა და ჩუქება რომ შესაძლებელი ყოფილიყო. კალატოზი იყო ისეთი, ბადალს ვერ მოუძებნიდი, ეგ კიდევ არაფერი — მოხუცი ხუროც იყო და არც იქა ბუავდა ტოლი და ბადალი... ყანის მკაზიც ტოლს არავის დაუდებდა, ყველა საქმეში წინ იყო, და, ერთი სიტყვით, დღეკანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ეს ერთი კაცი კომპლექსურ ბრიგადასავით იყო — სახლის საძირკველს თვითონ ჩაყრიდა, კედელსაც თვითონ ამოიყვანდა, კარ-ფანჯარას გამართავდა, აივანს გაუწყობდა, თვითონვე გადახურავდა. და აი ასე მას იმდენი სახლი აეშენებინა, ყველგან რომ ჩამოეკლო და თითო ღამე გაეთენებინა, ერთი იმ-ხელა გრძელი სიცოცხლის გზა კიდევ უნდა გაეკლო, რაც გაიარა.

ბოდა, შეატყო პაპამ, რომ ამ ქვეყანაზე ყოფნა აღარ ეწერა. შინაურები თავზე ედგნენ, მოხუცმა ხელით ანიშნა და ყველა დაითხოვა. მარტო უფროს შვილიშვილს უთხრა — დარჩი.

გარეთ მყოფნი ათას რამეს ვარაუდობდნენ, ერთმა შორეულმა, ავყია ნათესავმა ისიც კი თქვა — კარგი ოსტატი იყო, ფულს მუდამ ბლომად შოულობდა და განძი ექნება სადმე დამარხული, უეჭველად მაგ ბიჭს უნდა რომ მიახწავლოსო.

მაგრამ მობუცს არაფერი ჰქონდა გადანახული, და მაინც თავის შვილიშვილს ისეთი ძვირფასი განძი დაუტოვა, ამ ქვეყნად ყველა სიმდიდრეს, ყველა შესაძენსა და მოსახვეჭელს რომ სჯობს.

...მარტონი რომ დარჩნენ, ბერიკაცმა ლოგინზე წამოიწია, ტახტის ქვეშიდან დაძენძილი ხურჯინი გამოათრია, ამოალაგა თავისი ქაფჩა და თარაზო, შვილიშვილს გადაასწოდა და უთხრა:

— აი ეგ ქაფჩა, შვილო, ნაწრთობი ფოლადია, ჯერ მამაჩემს ეჭირა, მერე მე... ეს ქვეყანა (ქვეყანას თავის სოფელს ეძახდა ბერიკაცი, ერთ სოფელს კი არა, მეზობელ სოფლებსაც) მაგით გვიშენებია... ახლა შენ გეპიროს ხელში, დამილოცნიხარ, შენი ჭირიმე, მე მივდივარ და ახა შენ იცი, ბიჭო...

მერე მიწვა და სამუდამოდ დახუჭა თვალები...

ნარკვევის დასაწყისშივე ვთქვი, რომ ეს ამბავი ადრე, ბაბუობამი მჭოდა-მეთქი გაგონილი. მაშინ გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, ეს წესი მარტო ამ სოფელში აქვთ-მეთქი. და ახლა ჩვენი დედაქალაქის — თბილისის სახელოვან მშენებელს ნიკანდრო ძაგანიას რომ შევხვდი, გამოკითხვა დავუწყე. და უცებ მან თავიხი მამა ლავრენტი ძაგანია ახსენა, რომელმაც თავის შვილს ბზის ხის შალაშინი, სარანდავი და კბილმახვილი ხერხი დაუტოვა, თავის მხრივ პაპა გიორგისგან რომ ჰქონდა გადმოცემული. გავიგე თუ არა ეს, მაშინვე ის ძველი ამბავი გამახსენდა და მივხვდი, რომ ეს მარტო ერთი სოფლის კი არა, მთელი საქართველოს მამა-პაპაური წესი და კანონი ყოფილა.

ცუდად ნურავინ გამიგებს — რა თქმა უნდა, ეს ადათი, ასე ვთქვათ, უფრო სიმბოლურია, ვიდრე რეალური — რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, მსხვილი ბლოკებით სახლების მონტაჟი, ცხადია, ძაგანიას წინაპრებს სიზმარშიც არ მოელანდებოდათ, ეს კი არ არის აქ მთავარი — მთავარია ის, როგორ ესტაფეტასავით გადადის ოსტატის მადლიანი სახელი თაობიდან თაობაზე.

ნიკანდრო ძაგანია ეკუთვნის იმ სახელოვან ადამიანთა რიცხვს, ვინც კომუნიზმის ეპოქის ახალ თბილისს აშენებენ.

ამ მშენებელ ვაჟკაცს მართლაც საინტერესო ბიოგრაფია აქვს. აგერ ვსხედვართ მის ბინაზე, და ერთი რამ იქცევს ჩემს ყურადღებას: მისი მეუღლე კატო ჩვენს მშენებელს შუგუს ეძახის (ეს სახელი დაარქვა თურმე დედდედამ სამეგრელოში, სოფელ ონოფლიაში). ცოლისძმა ინეინერი აკაკი ჯიქია შურას ეძახის (ბრიგადაში ძველ სახელს ვერ შეეჩვევნენ და ასე გადანათლეს), დონარა — მისი ქალიშვილი, ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი — მამიკოს ეძახის და მარტო მე ვიხსენიებ, მას როგორც ნიკანდროს.

ვსხედვართ და ვსაუბრობთ. სიტყვაძუნწი კაცია ჩვენი თბილისის მშენებელი და თავის თავზე არაფერს ამბობს, მაგრამ, მგონი, არც არის საჭირო, რომ მან თავის თავზე ილაპარაკოს, მით უმეტეს მას მერე, თუ მისი აშენებული სახლები გინახავს.

ეს სახლები თვითონ მეტყველებენ, თუ როგორი ოსტატია შუგუ ძაგანია— მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს დურგლთა კომუნისტური შრომის ბრიგადის სასახელო მეთაური. ამა რა მოგიყვეთ მის ცხოვრებაზე: როგორც კი დაიწყეთ ამ კაცზე ლაპარაკს, თავდება ბიოგრაფია და იწყება ახალი თბილისის ისტორია, მისი ბიოგრაფია — ეს არის ფიზკულტურის ინსტიტუტის მშვენიერი, ხუთსართულიანი შენობა, ეს არის საუცხოო, ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ, ეს არის ოთხი შესანიშნავი სახლი პეკინის ქუჩაზე — ერთი ოთხსართულიანი და სამი — ხუთსართულიანი. მისი ბიოგრაფია — ეს არის ასპინძინანი, მსხვილი ბლოკებით დამონტაჟებული სახლი იმავე პეკინის ქუჩაზე, ხოლო საბურთალოს პიჩველ მასივში ალარ აქვს სათვალავი იმ სახლებს, რომლებიც ნიკანდროს და მის ბრიგადას აუშენებია, მოუწყვია, აივანი გაუმართავს და სახურავი გადაუხურავს.

რამდენი თბილისელი გაუხარებია ნიკანდრო ძაგანიას — ვინ დათვლის ამას, არც თვითონ ოსტატი თვლის — იცის, კიდევ ბევრს გაახარებს, ბევრი აკვანი დაირწევა იმ მადლიან ბერკეტზე, ჩვენი სახელოვანი ბრიგადირი რომ ააგებს.

და მერე როგორ აგებს? წლის პირველი ნახევრის გეგმა ძაგანიას ბრიგადამ ასოთხმოცდაშვიდი პროცენტით შეასრულა და შესრულებული სამუშაოები მხოლოდ პირველი ხარისხისაა.

ნ. ძაგანია.

ძაგანიას ბრიგადაში ამ თვის ბოლოდან ახალი და მეტად საგულისხმო ამბავი იწყება. ეს კოლექტივი კომპლექსური ბრიგადა გახდება, რომელიც დაიწყებს სახლის მშენებლობას და მთლიანად დაამთავრებს მას გადახურვის ჩათვლით. ახლახან ყველამ წაიკითხა წერილი, რომელიც ძაგანიას ბრიგადამ გაუგზავნა მოსმშენის პირველი ტრესტის მეექვსე სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა კომპლექსურ ბრიგადას — მეგობრები ერთიმეორეს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ და სწორედ ეს არის საწინდარი მათი ახალი გამარჯვებებისა.

ეს ახალი ნაბიჯია წინ, და ჩვენ ესლა დაგვრჩენია სულითა და გულით ვუსურვოთ გამარჯვება ახალი თბილისის მშენებლებს, მაგრამ ჩვენ ძაგანიას ბრიგადაზე საუბარს ისე ვერ დავამთავრებთ, თუ მისი თანამებრძოლები არ ვახსენეთ. აი მისი ბრიგადის წევრების სია: ნიკოლოზ კერესელიძე, თედო ბასილაშვილი, შალვა ბიძინაშვილი, დიმიტრი ბასკაკოვი, ლადო ციხელაშვილი, ლადო გოცირიძე, სოკრატ ძაგანია, გურამ გაგელიძე, ამბროსი დვალიანიძე და ვანო აბუთიძე.

ბევრი რამის მოყოლა შეიძლება ამ შესანიშნავ ადამიანებზე, ახალი თბილისის მშენებლებზე — მათ ყველას საინტერესო ბიოგრაფია აქვთ. ნიკოლოზ კერესელიძე იმათ შორის იყო, ვინც ვარშავა გაათავისუფლა და მერე ბერლინი აიღო, ფრონტზე იყვნენ ივანე აბუთიძეც, ლადო ციხელაშვილიც, დიმიტრი ბასკაკოვიც... იმათ უნახავთ დანგრეული ქალაქები და ალბა მიხვდით რა მწარე სანახავი იქნებოდა ეს მშენებლისათვის...

ჰოდა, ახლა ისინი აშენებენ ჩვენს სახელოვან დედაქალაქს, და ამაყად ათვალიერებენ, როგორ იზრდება თბილისი სიგრძეზეც და განზეც და იციან, რომ რაც უფრო კარგად, დაუღალავად იმუშავებს მათი მარჯვენა, მით უფრო ლამაზი და დიდებული იქნება საქართველოს დედაქალაქი.

გიორგი ნატროშვილი.

რომ დიდხანს იცოცხლოს...

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბულდოზერის მემანქანემ ალექსანდრე მიქოიანმა მანქანის ტექნიკური მდგომარეობა შეამოწმა, ზეგიერთი მოშვებული ჭანჭიკი დაამაგრა. სანცხებიც ჭაუსვა. ასეა ყოველთვის. ამიტომ არის, რომ ბულდოზერი „დტ-54“, რომელიც მან 1960 წელს ჩაიბარა, დღემდე კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად მუშაობს.

როცა თბილისის გზათა მშენებლობის სამმართველოს მექანიზატორები რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას გაეცნენ, ალექსანდრე მიქოიანმა განაცხადა:

— მიმართვაში წაკითხული, რომ მეგულდოზერე ამბ. ფარაძემ ვალდებულება იკისრა ბულდოზერის რემონტთაშორისი ვადა 4 ათას საათამდე გაახანგრძლივოს. მინდა მას შევთანხმდი და ვალდებულებას ვიკისრებთ ბულდოზერის რემონტთაშორისი ვადა 5.400 საათით გაგაგრძელებ.

სკოლა—გამოფენაზე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). პირველი საშუალო სკოლა საუკეთესოა მთელ რაიონში აკადემიური წარმატებით. ეს საუკეთესოდ არის დაყენებული მომავალი თაობის პოლიტექნიკური სწავლება. სკოლაში ნაყოფიერად მუშაობენ ნორჩ მიჩურინელთა, ნატურალისტთა წრეები. მოსწავლეები თავიანთი ხელით ამზადებენ მეტად საყურადღებო ნაკეთობებს — მოდელებს, ექსპონატებს. ამისათვის მათ სასწავლო სახელოსნოში ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

თავიანთი ნახელავი მოსწავლეებმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარადგინეს. საგამოფენო კომისიებმა მოიწონა 12 მოსწავლისა და 3 მასწავლებლის ნამუშევარი და ავტორები სნეულებისა და ავადმყოფობის გამო დაკავშირებით დაკავშირდნენ.

მოსწავლეებმა საჩუქრად მიიღეს მაჯის საათები.

სკოლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა შ. ხუბულავამ საჩუქრად მიიღო „სტერეოდოდოგრამოფონი“ და პატარა ტირეხლის მედალი. სკოლაში სასწავლო სახელოსნოს შექმნისა და ხეზე და ლითონზე მუშაობის პრაქტიკულის სანიმუშოდ მოწყობისათვის მასწავლებელი ვიქტორ კვარაცხელია დაჯილდოებულია ბრინჯაოს მედლით და რადიომიღებით. დაჯილდოებულთა შორის არის აგრეთვე ფიზიკის მასწავლებელი ელპიტე ფონია.

სკოლა დაჯილდოებულია მესამე ხარისხის სიგელით. მან გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ს. სულაქველიძე.

ფ. მალლაფერიძე.



ზ. ტურაბელიძე.



შ. ტურაბელიძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჯოჯოხეთის მანათოგლეგი“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო თაღლითობის, მექრთამეობის ფაქტები.

წერილთან დაკავშირებით კ. თბილისის პროკურორის მოადგილე ვ. ხმალაძე გვწერს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. გაზეთში გაკრიტიკებული გ. ბანგელოვი და გ. ოვანოვა, რომლებიც თაღლითური გზით ეწეოდნენ სხვადასხვა მოქალაქეებისაგან ფულის გამოძალვას ბინის მიცემის შეპირებით, მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სიძნელეთა დამარცხება

ტექნიკის სიახლენი

მეორე წელიწადია, ეიქმნა მოსკოვის საკონსტრუქტორო-საპროექტო ინსტიტუტ „გიპროუგლეგიმაშის“ ჰიათურის ფილიალი, რომელსაც ჰიათურის მკვიდრი, გამოცდილი ინჟინერი გ. დეკანოზიშვილი უძღვება. მისი მთავარი კონსტრუქტორია მოსკოველი ან. ზაიცევი.

ინსტიტუტ „გიპროუგლეგიმაშის“ ჰიათურის ფილიალს აკავს კონსტრუქტორთა ჯგუფი, რომელსაც ახალგაზრდა კონსტრუქტორი დ. გამყრელიძე უძღვება, და ახალი მექანიზმების დანერგვის ჯგუფი, რომელსაც უნარიანი ახალგაზრდა ელექტრომექანიკოსი ტ. ჩუბინიძე ხელმძღვანელობს.

ჰიათურის ფილიალის კოლექტივის, მისი კონსტრუქტორების მთავარი საზრუნავი და მოვალეობაა შექმნან ახალი კონსტრუქციის სამთო მექანიზმები ჰიათურის მაღაროებისათვის ან გამოიყენონ, ჰიათურის პირობებს შეუგუონ უკვე შექმნილი ტექნიკა-კონსტრუქციები.

ფილიალი ეხმარება აგრეთვე ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ქვანახშირის შახტებს. ფილიალმა უნდა შეისწავლოს, დაადგინოს და რეკომენდაცია მისცეს, თუ რა სამთო მექანიზმების გამოყენება სჯობილება საქართველოს ქვანახშირის შახტების მიწისქვეშა სამუშაოებზე. — პრაქტიკამ დაამტკიცა, — გვიამბობს ინსტიტუტ „გიპროუგლეგიმაშის“ ჰიათურის ფილიალის უფროსი გ. დეკანოზიშვილი, — რომ მარგანეცის ფიზიკურო-მექანიკური თვისებები (ფენების სიმაგრე, ხვედრითი წონა, შეწებების უნარი და სხვ.). არსებითად განსხვავდება ქვანახშირისაგან. ამიტომ ბუნებრივია, რომ შახტებისათვის შექმნილი მექანიზმები ძნელი გამოსაყენებელია ჰიათურის მაღაროებში. ეს აყენებს გადაუდებელ ამოცანას, რომ ჰიათურისათვის შეიქმნას სრულიად ახალი კონსტრუქციის მექანიზმები ან საფუძვლიანად შეიცვალოს არსებული კონსტრუქციები.

მოსკოვის ინსტიტუტმა შექმნა გვირაბების გასაყვანი ძვირფასი კომბაინი, რომელმაც ბრიუსელის გამოფენაზე ოქროს medal-ი დაიმსახურა. ჰიათურის ფილიალის მუშაკებმა ასეთი კომბაინი გამოსცადეს ლენინის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროებში. მისი გამოყენებისას არ ზიანდება გვირაბი, მისი ჭერი და იზოგება სამაგრი მასალა.

ახალი ითხვისის მაღაროში ამ კომბაინით გაიყვანეს გვირაბი 300 მეტრზე. ცვლაში იგი გადიოდა 1,5-2 მეტრს და იძლეოდა 70-100 ტონა მადანს. მარგანეცის ქანების სიმაგრის გამო კომბაინის ელექტროძრავები და მკრელი ნაწილი მალე გამოდის მწყობრიდან. მარტო მკრელი ნაწილის ხელოვნური ალმასით შეცვლა ცვლაში გვირაბის წინსვლას გაზრდის 3-4 მეტრამდე, ხოლო წარმადობას — 200 ტონამდე ერთი სანგრევიდან.

ჰიათურელმა კონსტრუქტორებმა დ. გამყრელიძემ, გ. ლორიამ, რ. გოგუებაშვილმა სერიოზული ცვლილებები შეიტანეს კომბაინის კონსტრუქციაში. მადნის დაბეგების ასაცილებლად მათ შეცვალეს კომბაინის წამყვანი მუხლუხას ვარსკვლავას ფორმა, მინიმუმამდე შეამცირეს მომხვეტი ტრანსპორტიორის მიმმართველის სიცარიელე, გაძლიერეს მკრელი ნაწილის მოტორი და სხვ. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. გამყვანი კომბაინის გამოცდა, გაუმჯობესება-ათვისება კვლავ გრძელდება, რათა იგი სახლოლოდ შეუგუონ ჰიათურის პირობებს.

ახალი ითხვისის მაღაროს მეცხრე უბნის ლავებში ფილიალის მუშაკებმა გამოსცადეს მადნის მხვეტი ტრანსპორტიორი, რომლითაც დატვირთეს 3.000 ტონა მადანი, მაგრამ მის მუშაობაზეც ძალიან მოქმედებს მადნის შეწებების უნარი. ამიტომ ფილიალის კონსტრუქტორ-მექანიკოსებმა ტრანსპორტიორის ჯაჭვზე დაყენეს სპეციალური შენადნობიდან დამზადებული მკრელები დაბეგებული მადნის მოსაშორებლად. მექანიზმი გარეთ გამოსცადეს და კარგი შედეგი აჩვენა. ცვლაში მას შეუძლია დატვირთოს 600 ტონა მადანი. ახალი ითხვისის მაღაროში გამოიყო ერთი ლავი, სადაც მარგანტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილებასთან ერთად ფილიალის თანამშრომლები კვლავ გააგრძელებენ მარგანეცის მხვეტია ტრანსპორტიორის გამოცდა-გადაკეთებას. ეს სამუშაო წელს უნდა დამთავრდეს.

ჰიათურის მაღაროებში მუშაობს ასზე მეტი მადნის ელექტროსატვირთავი მანქანა. მისი ყველაზე სუსტი ადგილი შემდეგია: როცა ამ მანქანით მემანქანე მარგანეცს ტვირთავს, ივსება ვაგონის წინა ნაწილი. მადნის უკან გადასაწევად აუცილებელია მუშა თოხით. ეს მუშის დიდ შრომას მოითხოვს, თანაც მანქანის მოცდენას იწვევს. ფილიალის კონსტრუქტორთა ჯგუფმა შეიმუშავა მექანიზმი, რომელიც დაეხმარება სატვირთავ მანქანას ვაგონის სიმეტრიულად გავსებაში. ამით განთავისუფლდება მუშა ფიზიკური — შრომისგან, ხოლო ეფექტიანობა — ზრდა. ... ეფექტიანობა 3.000 ტონამდე ... ეფექტიანობა ... ბელსნაზრში დამზადდეს, გამოცადეს ახალი ითხვისის მაღაროში.

ფილიალი მუშაობს აგრეთვე ლავებიდან მადნის გამოსაზიდი ლენტიანი ტრანსპორტიორის კონსტრუქციის შეცვლა-გადამუშავებაზე.

ჰიათურაში ნაკლებად არის დანერგილი მაღაროს გამაგრების მექანიზაცია. უბლავსკის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა დაამზადა 120-ტონიანი მძლავრი ლითონის მოსარიგელი სამაგრა, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვაა. მას ყიენებენ ლონმბასის და ტყიბულის ქვანახშირის შახტებში. იგი ინახულეს ფილიალის მუშაკებმა და მოიწონეს.

— მომდინარე წლის მეორე ნახევარში, — ამბობენ ისინი, — დიდი სამუშაო მოგველის, მარგანეცის ტრესტი მიიღებს ლითონის მოსარიგელ სამაგრს, რომელიც უნდა გამოიცადოს ლენინის სახელობის მაღაროს ყველაზე დიდ ლავში. იგი გამორიცხავს სამაგრი მასალის გამოყენებას და სამთო უსაშიშროების თვალსაზრისით საიმედოა.

ჰიათურის ფილიალს და მის კონსტრუქტორ-მექანიკოსებს შესაწშნავი ბერსაქმეობა ესახებათ. მათ მოეთხოვებათ შეუპოვარი შრომა, ახლის შემოქმედებითი ძიება, რათა ჰიათურისათვის შეიქმნას ახალი კონსტრუქციის, გაუმჯობესებული და სრულყოფილი მექანიზმები.

პ. ჭიოკაძე.

თბილისის სახეები ჩარხების ქარხნის ტექნიკური კონტროლიორი ოთარ ახულაძე (მარჯვნივ) დასამუშავებელი დეტალების ნახაზს აცნობს მხეხავ ანზორ კეკელიას და შრანდავ ნოდარ არჩვაძეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.









გულის ძახილი

პირველი კაცი, პირველი სპეციალისტი, ვინც ამ ექვსი წლის წინათ მშობლიურ კოლმეურნეობაში ბრიგადირად დაიწყო მუშაობა, სოციალისტური შრომის გმირი სეხნია სულაქველიძე იყო. იყო-თქო ვამბობთ, თორემ იგი ახლაც ბრიგადირია წყალტუბოს რაიონის სოფელ ციონის კაკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში. მაშინ სეხნია აგრონომიოსი იყო, ახლა კი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეცნ. კანდიდატია, მალე აგრონომის დიპლომს მიიღებს.

დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ინსტიტუტში მიღებული ცოდნა დაეხმარა მას თავისი საქმის ჩინებული ოსტატი გამხდარიყო. პირველი ბრიგადა მართლაც პირველია, და აბა მარტო კოლმეურნეობაში ან რაიონში, მთელ წყალტუბოს საწარმოო სამმართველოში გამოირჩევა.

შარშან ბრიგადამ, იმერეთის პირიბებში, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საარკოლოო მოსავალი — საშუალოდ ჰექტარზე 4.700 კილოგრამი მიიღო. წელს კი იმისათვის იბრძვის, რომ 18 ჰექტარი პლანტაციიდან გეგმით გათვალისწინებული 84 ტონის ნაცვლად 90 ტონა ნედლეული მოკრიფოს. ეს თვითეულ ჰექტარზე ზუსტად 5.000 კილოგრამის მიღებას ნიშნავს. ასეთი ძალული ვალდებულება არავის არ უკისრია საწარმოო სამმართველოში.

ბრიგადირი სიტყვის კაცია. დღეისათვის ბრიგადას უკვე მოკრეფილი აქვს 60 ტონამდე ნედლეული — ნაკლები ვალდებულების ორი მესამედი.

ასე გამოიჩინა თავი აგრონომმა ს. სულაქველიძემ...

მაგრამ იგი ამ გზაფხულამდე ერთადერთი სპეციალისტი იყო კოლმეურნეობაში, რომელიც უშუალოდ წარმოებაში მუშაობდა.

როცა ველისციხელთა შესანიშნავ ოთასნობას გაეცნენ, რაიონის აგრონომებს გული ალარ დაუდგამთ, მით უფრო, რომ თვალწინ ედგათ თანასოფლელის მისაბაძი მაგალითი.

ეს იყო ამ ორი თვის წინ, შუა მაისში... კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა, პარტბიუროს მდივანმა ზუტრაბ ტურაბელიძემ პირველმა მიმართა გამგეობას თხოვნით გაეგზავნათ გამსხვილებული ბრიგადის ბრიგადირად. ბრიგადებში სამუშაოდ წავიდნენ აგრეთვე აგრონომები ივთანდილ მაღლაფერიძე და შამზე ტურაბელიძე, ხოლო საოფლო საბჭოს ყმამსაკრის თავმჯდომარე ფილიპე მაღლაფერიძე კოლმეურნეობის აგრონომად შეუდგა მუშაობას.

ახლა კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში მემინდვრეობის ყველა ბრიგადას სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უდგანან სათავეში. მათ თავიანთი ნამდვილი აგრეთ ნახეს...

სპეციალისტების უშუალოდ წარმოებაში წასვლას თავისი კეთილისმყოფელი შედეგები მოჰყვა. ჯერ ერთი, შემცირდა სამმართველო აპარატის ბარჯები, მეორე, რაც მთავარია, ამ მოკლე ხანში კოლმეურნეობის საქმეებს წინსვლა და დიდი გაუმჯობესება დაეტყო.

წინათ კოლმეურნეობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე სამი სპეციალისტი მუშაობდა. ახლა მათს საქმეებს ერთიც თავისუფლად უძღვება. მარტო ამ გზით კოლმეურნეობამ წლიურად 960 შრომადღე და 768 მანეთის ეკონომია მიიღო. ამასთან ბრიგადების გამსხვილებით კიდევ 1.200 შრომადღე დაზოგა.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ყველას თვალწინ, ყველას გასახარად ახლანდელი ბრიგადებიცა და ბრიგადირებიც ძველებურად ალარ მუშაობენ, წარმატებას წარმატებაზე აღწევენ.

თუნდაც მე-4 ბრიგადა ავიღოთ, რომელსაც პარტბიურომ მდივანი, აგრონომი ზ. ტურაბელიძე ხელმძღვანელობს.

შარშან ამ ბრიგადას ყველა აკრიტიკებდა... მოუწესრიგებელი იყო შრომა, დაბალი იყო ჩაისა და სიმინდის მოსავალი. აგრონომმა სწორედ შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის მოწესრიგებით დაიწყო. წინათ ბრიგადირები შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვას უწყისებს ეძახდნენ, ამასთან დაგვიანებით ავსებდნენ, დაწესებული ხუთი დღის ნაცვლად ათი-თხუთმეტი დღის შემდეგ წარადგენდნენ ბუხჰალტერიაში. ახლა ზ. ტურაბელიძეც და დანარჩენი ბრიგადირებიც დროულად აკეთებენ ამ საქმეს.

მას შემდეგ, რაც ზ. ტურაბელიძემ ბრიგადირად დაიწყო მუშაობა, საკუთარი აღიარეთა შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები, ხოლო ჩაის მკრეფავთა რიგებს 14 ისეთი ქალი შეემატა, რომლებიც წინათ არ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში.

დროულად, აგროტექნიკის დაცვით ჩაატარეს ბრიგადაში პლანტაციების დამუშავება, სასუქების შეტანა, მტკიცე კონტროლი დაწესეს ჩაის კრეფის წესების დაცვაზე, ფოთლის ხარისხიანობაზე.

ამის შედეგად მე-4 ბრიგადა მოწინავეთა რიგებში ჩადგა. 15 ივლისისათვის გეგმით გათვალისწინებული 68 ტონის ნაცვლად უკვე მოკრეფილი ჰქონდა 50 ტონა ნედლეული. ამ ისიც უნდა დავძინოთ, რომ დღემდე დამზადებული ჩაის ფოთლის 86 პროცენტი პირველი ხარისხისაა. საგულდაგულოდ არის დამუშავებული ავრეთვე სიმინდის ყანები. ბრიგადაში 42 ჰექტარი ნათესის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 27 ცენტნერს, ხოლო ხუთი ჰექტარი მაღალმოსავლიანი ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერ სუფთა მარცვალს მოელიან.

ბევრი კარგის თქმა შეიძლება აგრეთვე მე-2 და მე-3 ბრიგადების ხელმძღვანელების, აგრონომების ა. მარლაფერიძისა და შ. ტურაბელიძის საქმიანობის შესახებ.

არაფის არ ეპარება ეჭვი, რომ გელისციხელთა მიმდევრობა კარგად დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კაპიკს ანგარიშში უყვარს

ვაისაქმეები და ვაირევიზორები

დაწესებულებაში თუ საწარმოში რევიზორის გამოჩენა დიდ ჩოჩქოლს იწვევს. ვისაც შავ საქმეში ხელი გასვრილი აქვს, ჰამის მადა ეკარგება, პატიოსან მუშაკებს კი იმედი აღეძრებათ ხოლმე, მტაცებლები გამოაშკარავდებიან, სახელმწიფო ქონების გამფლანგველებს საკადრისი მიეზღვიოთ. მაგრამ ხშირად ასე როდი ხდება.

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს შინასაუწყებო საფინანსო კონტროლს.. შეიმჩნევით გამოვლინდა, რომ არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას დაქვემდებარებულ საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, დაწესებულებებში რევიზიის წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარების შესახებ.

ხშირად რევიზიას არ ატარებენ მაშინაც კი, როცა დაქვემდებარებულ საწარმოთა საანგარიშგებო მონაცემებიდან ჩანს, რომ დაშვებულია დიდი გადახარჯვები, გადიდებულია პროდუქციის თვითღირებულება, გაძვალინებულია გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში 1961 წელს გეგმით რევიზია უნდა ჩატარებინათ 755 ობიექტში, ფაქტიურად ჩატარდა 656 ორგანიზაციაში. აქ საგულისხმოა ის, რომ ზოგიერთი რევიზია ფორმალურად ხასიათს ატარებდა, რევიზიის შედეგად არ გამოუვლენიათ დამნაშავე პირები და მათი ხელმძღვანელი.

უკანასკნელ პერიოდში ბევრი სიგნალი იყო იმის გამო, რომ „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებაში გაფლანგვა - დატაცება გახშირდა. ამ სამარცხვინო ფაქტმა სახალხო მეურნეობის საბჭოს ყურადღება მიაქცია. ადგილზე რევიზიის ჩასატარებლად მიაგზავნეს ლ. რეინშვილი. რევიზორს თავი დიდად არ შეუწუხებია. დასკვრდა იმას, რომ აქტში შეიტანა გაფლანგვა-დატაცებით წარმოშობილი დაკლებების თანხები, რაც 1961 წლის იანვრისათვის 225 ათას მანეთს (ახალი ფულით) შეადგენდა. რევიზორმა არ შეისწავლა და არ გამოავლინა ამ სამარცხვინო ფაქტის წარმოშობის მიზეზები, დამნაშავე პირები და ის ხელმძღვანელები, რომლებმაც ხელი შეუწყეს გამფლანგველებს.

ამ აღმაშფოთებელ ფაქტს ასევე უდარეოდ შეხვდა სახალხო მეურნეობის საბჭოს მთავარი ბუხჰალტერი ვ. სხირტლაძე. მან გულდასმით არ გასინჯა რევიზორის მიერ წარმოდგენილი მასალები და არ მოსთხოვა რევიზორს გაფლანგვა-დატაცების წარმომშობი მიზეზების დადგენა. მთავარი ბუხჰალტერი იმით დაკმაყოფილდა, რომ რევიზორის მიერ წარმოდგენილ აქტს წაეწერა „განხილული იქნას წლიურ ინვენტარიზაციებთან ერთად“. წარმოდგენილი მასალების განხილვა 1961 წლის მაისამდე გაჭიანურდა. ხოლო განხილვის შემდეგაც ხელმძღვანელი ამხანაგები არ დაინტერესებულან და არ გამოუტანიათ, თუ ვინ არის ასეთი დიდი თანხების მტაცებელთა ხელის შემწყობი.

ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს შინასაუწყებო საფინანსო კონტროლს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო. 1961 წელს ამ სამინისტროში შემავალი 121 ობიექტიდან რევიზია ჩატარდა 61-ში. ზოგიერთ ავტოსატრანსპორტო კანტორაში რევიზია არ ჩატარებულა 2-3 წლის განმავლობაში. ეს მაშინ, როცა მთელი რიგი კანტორები გადაზიდვის გეგმას ვერ ასრულებენ, უმეტეს დიდ გადახარჯვას, მოგების ნაცვლად სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებენ. არის საფინანსო დისციპლინის სხვა უხეში დარღვევების ფაქტებიც.

მაგალითად, თბილისის პირველ სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორაში 1960 წელს გადახარჯეს 508 ათასი ლიტრი ბენზინი, ანუ 10,2 პროცენტი, უხეშად დაარღვევეს საფინანსო დისციპლინა და ხელ

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲑᲨᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲠᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ. ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲐᲮᲠᲐ ᲡᲐᲡᲣᲑᲐᲠᲘᲗ ᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲣᲠᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ. ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘᲡᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ.

○ ○

„ᲛᲝᲜᲓᲚᲘ“ (საფრანგეთი). გაზეთმა ცნობა ამერიკელ ჟურნალისტებთან ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის შესახებ ბოროტად მოაწყო ახალი სისხლიანი შეტაკება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან კატანგაში.

17 ივლისს დილით მრავალათასიანი ბრბო, რომელიც უმთავრესად ქალებისა და ახალგაზრდობისაგან შედგებოდა, სრულიად უსაფუძვლოდ თავს დაესხა ინდოელთა ქვედანაყოფს, რომელიც გზის მონაკვეთს იცავდა ელიზაბეტვილის გარეუბანში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარისკაცები, რომლებსაც ქვები დაუშინეს, დასჯერდნენ რამდენიმე გასროლას ჰაერში; 10 ინდოელი დაიჭრა. თავდასხმის სულ რამდენიმე წუთის შემდეგ, კატანგის ხელისუფლები უკვე უჩვენებდნენ რეპორტიორებს დაჭრილ ბიჭსა და ქალს გვამს, რომლებიც თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების „აგრესიის მსხვერპლი“ გახდნენ. მაგრამ შემდგომშა გამოძიებამ ცხადყო, რომ დაზარალებულნი ჰოსპიტალში მიიყვანეს ამ ამბების დაწყებამდე ერთი საათით ადრე. როგორც განაცხადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამდებობის პირებმა ელიზაბეტვილში, კატანგელი ჟანდარმები თვითონ ესროდნენ ხალხს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ელიზაბეტვილის ინციდენტი „სრულებითაც არ არის შემთხვევითი, არამედ უფრო წინასწარ განზრახული და გულდასმით მოფიქრებული მრქმედებაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან კატანგაში.

17 ივლისს დილით მრავალათასიანი ბრბო, რომელიც უმთავრესად ქალებისა და ახალგაზრდობისაგან შედგებოდა, სრულიად უსაფუძვლოდ თავს დაესხა ინდოელთა ქვედანაყოფს, რომელიც გზის მონაკვეთს იცავდა ელიზაბეტვილის გარეუბანში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარისკაცები, რომლებსაც ქვები დაუშინეს, დასჯერდნენ რამდენიმე გასროლას ჰაერში; 10 ინდოელი დაიჭრა. თავდასხმის სულ რამდენიმე წუთის შემდეგ, კატანგის ხელისუფლები უკვე უჩვენებდნენ რეპორტიორებს დაჭრილ ბიჭსა და ქალს გვამს, რომლებიც თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების „აგრესიის მსხვერპლი“ გახდნენ. მაგრამ შემდგომშა გამოძიებამ ცხადყო, რომ დაზარალებულნი ჰოსპიტალში მიიყვანეს ამ ამბების დაწყებამდე ერთი საათით ადრე. როგორც განაცხადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამდებობის პირებმა ელიზაბეტვილში, კატანგელი ჟანდარმები თვითონ ესროდნენ ხალხს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ელიზაბეტვილის ინციდენტი „სრულებითაც არ არის შემთხვევითი, არამედ უფრო წინასწარ განზრახული და გულდასმით მოფიქრებული მრქმედებაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან კატანგაში.

17 ივლისს დილით მრავალათასიანი ბრბო, რომელიც უმთავრესად ქალებისა და ახალგაზრდობისაგან შედგებოდა, სრულიად უსაფუძვლოდ თავს დაესხა ინდოელთა ქვედანაყოფს, რომელიც გზის მონაკვეთს იცავდა ელიზაბეტვილის გარეუბანში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარისკაცები, რომლებსაც ქვები დაუშინეს, დასჯერდნენ რამდენიმე გასროლას ჰაერში; 10 ინდოელი დაიჭრა. თავდასხმის სულ რამდენიმე წუთის შემდეგ, კატანგის ხელისუფლები უკვე უჩვენებდნენ რეპორტიორებს დაჭრილ ბიჭსა და ქალს გვამს, რომლებიც თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების „აგრესიის მსხვერპლი“ გახდნენ. მაგრამ შემდგომშა გამოძიებამ ცხადყო, რომ დაზარალებულნი ჰოსპიტალში მიიყვანეს ამ ამბების დაწყებამდე ერთი საათით ადრე. როგორც განაცხადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამდებობის პირებმა ელიზაბეტვილში, კატანგელი ჟანდარმები თვითონ ესროდნენ ხალხს.

ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲒᲐᲗᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 20 ივლისი. (საკდესი). ეხება რა 18 საბერძნეთის განიარაღების კომიტეტის მუშაობის პროსპექტებს, მემარცხენე ლეიბორისტული ყოველკვირეული „ტრიბუნი“ წერს:

„ახლა გამათლებულია მეტი წილი „მეცნიერული“ არგუმენტებისა (დასავლეთის სახელმწიფოების), — რედ). იმეს წინააღმდეგ, რომ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდები ადგილებზე ინსპექციების გამოუყენებლად. ახლა შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ყველა ატომოსფერული გამოცდა, ყველა მიწისქვეშა აფეთქება, გარდა ყველაზე უმნიშვნელოსი (რომლებსაც არც აქვთ სამხედრო მნიშვნელობა).

„დასავლეთის სახელმწიფოებს, — ხაზგასმით აღნიშნავს „ტრიბუნი“, — შეუძლიათ ივაჭრონ ადგილებზე ინსპექციების შესახებ, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ რუსები მართალი არიან“ (იმაში, რომ გამოცდების აკრძალვის შესახებ შეთანხმების დაცვისადმი კონტროლის გასაწევად საკმარისია ეროვნული საშუალებები. — რედ.).

ᲐᲠᲐ! — ᲐᲛᲒᲝᲜᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 19 ივლისი. (საკდესი). გუშინ ღამით საფრანგეთის სენატში დამოკავრდა განხილვა მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტისა დამატებითი ასიგნებათა შესახებ ეგრეთწოდებული ატომური „დაკვრითი ძალის“ შესაქმნელად.

სენატი მთავრობის ამ მოთხოვნის წინააღმდეგ წავიდა; კანონპროექტი დამატებითი საბიუჯეტო ასიგნებების გამოყენების შესახებ უარყოფილ იქნა 164 ხმით 61 ხმის წინააღმდეგ. პრემიერ-მინისტრმა პომპიდუმ მოითხოვა შეექმნას შერეული კომისია ეროვნული კრების წარმომადგენლებისაგან, სადაც მთავრობამ შეძლო გაეყვანა კანონპროექტი, და სენატის წარმომადგენლებისაგან, რათა მათ შეიმუშაონ ორივე პალატისათვის მისაღები ტექსტი.

საფრანგეთის მთავრობას სურს ახლანდელი ისეთაც დიდი ასიგნებების დამატებით სამხედრო საჭიროებისათვის გამოიყოს კიდევ 239 მილიარდი ძველი ფრანკი პიერლატში (დრამის ღეპარტამენტი) ატომური ქარხნის ასაგებად, რომელიც გამოყენებულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ ატომური „დაკვრითი ძალის“ შექმნის მიზნით.

ისევე როგორც ეროვნულ კრებაში, იმის მომხრეებმა, რომ ყბადაღებული „მცირე ევროპის“ ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით შეიქმნას ატომური „დაკვრითი ძალა“, სენატში გაშალეს შეტევა დე გოლის კონცეფციაზე ეგრეთწოდებული „ეროვნული“ ატომური „დაკვრითი ძალის“ შესახებ.

კამათში გამოვიდა კომუნისტი სენატორი ჟაკ დიუკლო, რომელმაც ცხადყო, რომ, როგორც ერთი, ისე მეორე კონცეფცია არსებითად მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტია საფრანგეთის მონაწილეობისა სშიმ გამალებულ ატომურ შეიარაღებაში, რომელშიც მონაწილეობის მიღებას აპირებენ ბონელი რევანშისტები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის მონოპოლიები, რომლებიც მდიდრდებიან გამალებული შეიარაღებით, უაღრესად დაინტერესებული არიან პიერლატის ქარხნის მშენებლობით.

ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც ელიზაბეტვილიდან იტყობინებიან, ჩომბეს ხროვამ მოაწყო ახალი სისხლიანი შეტაკება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან ელიზაბეტვილში.

ᲐᲠᲐ! — ᲐᲛᲒᲝᲜᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘ

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗᲕᲘᲚᲨᲘ

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲣᲓᲒᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲝ-ᲨᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲚᲘᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲒᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ „ᲓᲐᲙᲕᲠᲘᲗᲘ ᲫᲐᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲒᲐᲗᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 20 ივლისი. (საკდესი). ეხება რა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის პროსპექტებს, მემარცხენე ლეიბორისტული ყოველკვირეული „ტრიბუნი“ წერს:

„ახლა გამათლებულია მეტი წილი „მეცნიერული“ არგუმენტებისა (დასავლეთის სახელმწიფოების, — რედ). იმეს წინააღმდეგ, რომ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდები ადგილებზე ინსპექციების გამოუყენებლად. ახლა შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ყველა ატომოსფერული გამოცდა, ყველა მიწისქვეშა აფეთქება, გარდა ყველაზე უმნიშვნელოსი (რომლებსაც არც აქვთ სამხედრო მნიშვნელობა).

„დასავლეთის სახელმწიფოებს, — ხაზგასმით აღნიშნავს „ტრიბუნი“, — შეუძლიათ ივაჭრონ ადგილებზე ინსპექციების შესახებ, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ რუსები მართალი არიან“ (იმაში, რომ გამოცდების აკრძალვის შესახებ შეთანხმების დაცვისადმი კონტროლის გასაწევად საკმარისია ეროვნული საშუალებები. — რედ.).

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲘᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲨᲘᲠᲘᲡ

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲘᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ „ᲓᲐᲙᲕᲠᲘᲗᲘ ᲫᲐᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲠᲐ! — ᲐᲛᲒᲝᲜᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 19 ივლისი. (საკდესი). გუშინ ღამით საფრანგეთის სენატში დამოკავრდა განხილვა მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტისა დამატებითი ასიგნებათა შესახებ ეგრეთწოდებული ატომური „დაკვრითი ძალის“ შესაქმნელად.

სენატი მთავრობის ამ მოთხოვნის წინააღმდეგ წავიდა; კანონპროექტი დამატებითი საბიუჯეტო ასიგნებების გამოყენების შესახებ უარყოფილ იქნა 164 ხმით 61 ხმის წინააღმდეგ. პრემიერ-მინისტრმა პომპიდუმ მოითხოვა შეექმნას შერეული კომისია ეროვნული კრების წარმომადგენლებისაგან, სადაც მთავრობამ შეძლო გაეყვანა კანონპროექტი, და სენატის წარმომადგენლებისაგან, რათა მათ შეიმუშაონ ორივე პალატისათვის მისაღები ტექსტი.

ᲕᲘᲜ ᲣᲓᲒᲐᲛᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲡ?

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ, 19 ივლისი. (საკდესი). კუბაში მთლიანად განადგურებულია ერთერთი უდიდესი კონტრრევოლუციური ორგანიზაციები. „რევოლუციური აღდგენის მოძრაობა“; იგი შექმნა 1959 წლის დამლეგს მანუელ არტიმემ და მისი დამქაშების ჯგუფმა, რომლებიც გასული წლის აპრილში მონაწილეობდნენ იმპერიალისტურ აგრესიაში პლაია-ხირონზე. დანაშაულისათვის მანუელ არტიმეს რევოლუციურმა ტრიბუნალმა მიუსაჯა 30 წლის პატიმრობა. ამჟამად „მოძრაობის“ მთელი ხელმძღვანელობა და თითქმის ყველა წევრი დაპატიმრებულია.

17 ივლისს ჰავანის რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა „მოძრაობის“ დაპატიმრებული ხელმძღვანელი ხუან ფალკონი. მან უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებზე და ილაპარაკა ამ ორგანიზაციის კონტრრევოლუციურ საქმიანობაზე. „მოძრაობის ბეგმებში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეიმუშავა, თქვა მან, გათვალისწინებული იყო ფიდელ კასტროს, რაულ კასტროს, ბლას როკას, კარლოს რაფაელ როდრიგესის, ერნესტო გევარას და რევოლუციის სხვა ხელმძღვანელთა დახოცვა“.

ორგანიზაციის მთელი ძირგამომთხრელი საქმიანობა, აღნიშნა ფალკონმა, ხორციელდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბრძანებით, განაცხადა მან. განადგურდა ორგანიზაციის ყველა არასაიმედო წევრი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გვამარაგებდა ფულით, იარაღით და აპარატურით, რომლითაც სარგებლობენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები თავიანთი ჯაშუშური მოშაობის დროს სხვა ქვეყნებში“.

ფალკონმა შემდეგ აღნიშნა, რომ პირადი კონტაქტი ჰქონდა რა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებთან, იგი დარწმუნდა, რომ „ამ მოძრაობაში ამერიკელთა მთავარი მიზანია არა კუბის პრობლემის გადაჭრა, არამედ აქ აღშფოთებისა და განგაშის პიტარების შექმნა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲣᲨᲘᲗ

ᲐᲘᲓᲔᲗ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გეოგრაფიული ატლასი. ერთი შეხედვით ვრცელია, შორს გადაშლილა ეგვიპტის რაინის მიწა. მას აფრიკის კონტინენტის საგრძნობი ნაწილი უჭირავს.

მაგრამ... უფრო ღრმად, კარგად დაკვირდეთ ხაზებით აჭრელებულ რუკას. რაღაც მაცდურად გამოიყურება იგი. ეგვიპტე ხომ ვიწრო ზოლად გასდევს ნილოსს, ფართობის დანარჩენი 97 პროცენტი კი უსიცოცხლო უდაბნოა. ტყუილად როდი წერდა ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტი: „ეგვიპტე შვა ნილოსმა“.

ერთ წელიწადზე მეტი ხნის წინათ ეგვიპტეს კარგად გაეცნენ თბილისელი სპეციალისტები — „საქჰიდროენერგოშენის“ სამმართველოს მთავარი ინჟინერი ვალერიან ჩუბინიძე და წამყვანი განყოფილების უფროსი გრიგოლ დუმენკო. მათ მდიდარი მასალები შეკრიბეს. სხვა საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად ისინიც ზრუნავდნენ იმის დასაზუსტებლად, თუ როდის რა სამუშაოები უნდა შესრულდეს ნილოსის პირას. მდინარის გაყოლებით და ეგვიპტის ორ-სამ ოაზისში, — ვეცნობით ადგილებს ამ მასალებში. — 26 მილიონი კაცი ცხოვრობს. ქვეყნის სასარგებლო ფართობი კი მხოლოდ 35.000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

წყალი! ნილოსი! — აი რაზე ოცნებობს ეგვიპტელი, როცა თავის უკეთეს მომავალზე ფიქრობს. მდინარეს იმედიანად შეპყურებენ შრომისმოყვარე არაბები.

ზვიადად მოედინება ნილოსი თავის განიერ კალაპოტში, მაგრამ წყლის დიდი ნაწილი ხმელთაშუა ზღვის ტალღებში იკარგება უსარგებლოდ.

და აი ახლა ასუანთან წყდება შთანთქმული წყლის ბედი... მდინარის ნაპირის ძველთაძველ კლდეებში ოდესღაც ვარდისფერ გრანიტს მოიპოვებდნენ. მისგან ობელისკებს, დიდებულ აკლდამებს აშენებდნენ. ჩვენმა თვისტომებმა ზოგიერთი მათგანის კონტურები დაინახეს სასტუმრო „ეგერესტის“ მეთექვსმეტე სართულიდან. ასუანი, როგორც მოხდენილად თქვა ერთმა ეგვიპტელმა, საკვიძლის ციხტს ემსახურებოდა. ახლო მომავალში, კი ხალხის კეთილდღეობას შეალევს თავის მძლავრ ენერგიას. პირქუშ კლდეებს გამოშიგნავენ, ნილოსის წყალს შეუშვებენ, ჰიდროკვანძის ტურბინებს ამუშავებენ. მზისგან გადატრუსულ ტრამალებს მორწყავენ. სწორედ ამ მიზნით მიიტანეს ოცდათა, ტონა დენი ორნახევარი წლის წინათ. იანვრის ძლიერმა აფეთქებამ მთელ მსოფლიოს ამცნო ათრაკის გოლიათური მშენებლობის დაწყება.

საღდ ელ-ალი! — ასე უწოდებენ მას არაბულად — ასუანის მაღალი კაშხალი!

ასეთი გრანდიოზული მშენებლობის გაშლაზე ეგვიპტელებს წინათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ...

პირველი მშენებლები ასუანში ჯერ კიდევ ასი წლის წინათ გამოჩნდნენ. მაშინ ძველმა კაშხალმა წყალსაცავში მოაქცია ორი მილიონი კუბური მეტრი წყალი. შემდეგ მისი ტევადობა ხუთ მილიონ კუბურ მეტრამდე გაზარდეს. ეგვიპტელებს ახსოვთ ფრანგები, რომლებიც დამმონებლებს უფრო გვანდნენ, ვიდრე ჩამორჩენილი ქვეყნის დამხმარეებს... ისინი ინგლისელმა კოლონიზატორებმა შეცვალეს. როცა დიდი კაშხალის აგებას უნდა შედგომოდნენ, ეგვიპტელებმა ფინანსური და ეკონომიური დახმარებისათვის მიმართეს დასავლეთის სახელმწიფოებს. ინგლისმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ამ უკანასკნელის კონტროლქვეშ მყოფმა საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკამ თანხმობა განაცხადეს, სესხის სანაცვლოდ კი ეგვიპტის ეკონომიკაზე კონტროლი მოითხოვეს. ამით ისინი ცდილობდნენ იქ კვლავ კოლონიური რეჟიმი აღედგინათ. არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ ასეთ „დახმარებაზე“ უარი თქვა. ამ ძნელ მომენტში მას ნამდვილი დახმარების ხელი გაუწოდა საბჭოთა ქვეყანამ.

ეგვიპტელთა ძველი ნატვრა ახლა ხორცს ისხამს მათ თვალწინ.

სულ სხვა იქნება, — იწერება ასუანდან ჟალერიან ჩუბინიძე, — ახალი კაშხალი, რომელიც საბჭოთა კავშირის ძმური და უანგარო დახმარებით შენდება. ასი მეტრის სიმაღლეზე აიწევა ეგვიპტის დიდი მდინარის დონე და ხუთ კილომეტრზე გაჭიმული წყალსაცავის სიგრძეში აღიცერცდება 130.000.000.000 კუბური მეტრი წყალი.

რა სკვეთს მოუტანს ეს მოსახლეობას? ამის შესახებ იწერება მეორე კართველი სპეციალისტი თენგიზ ჩუბინიძე. მდინარე ნილოსის გადახიდვის შემდეგ შექმნილი წყალსაცავი სუფალებას მისცემს ეგვიპტელებს დამატებით მორწყან 650.000 ჰექტარი მიწა. ეს სათესი ფართობის 30 პროცენტით ზრდაა, ეს წელიწადში 2-3 მოსავლის მიღებაა. ნილოსზე აგებული ჰიდროკვანძი ყოველწლიურად გამომუშავებს 10-12 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ეს ხუთჯერ მეტია, ვიდრე ახლა ეგვიპტის ყველა ელექტროსადგური იძლევა. მისი ამუშავება ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს 45 პროცენტით გაზრდის. უკვე 1967 წელს, როცა მშენებლობის პირველი რიგი შეავსებს წყობრში, 300.000 ჰექტარი მიწა მოირწყვება.

ᲜᲘᲚᲝᲡᲘᲡ პირას ახლა განუწყვეტლივ ზმაურობენ თვითსაცლელები და ექსკავატორები. ოდესიდან ალექსანდრიაში დიდძალი მოწყობილობა მიდის. მისი ნაწილი მატარებლებს, ნაწილი კი ხომალდებს მდინარე ნილოსით მიაქვთ სამშენებლო მოედანზე, რომელიც 50 კვადრატულ კილომეტრზე გაშლილა. მშენებლობის დაწყების შემდეგ იქ გაყვანილია საავტომობილო ტრასა, რკინიგზა, ელექტროგადამცემი ხაზი, საწყობები, საცხოვრებელი ბინები, რომლებშიც არაბებთან ერთად საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებიც სახლობენ. ორი წლის განმავლობაში ალექსანდრიის ნავსაგურმა საბჭოთა ქვეყნიდან მიიღო მოწყობილობებით დატვირთული 120-ზე მეტი ხომალდი.

შარშან მშენებლები შეუდგნენ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აშენებას. კლდის ქანებიდან უკვე გამოიღეს სამ მილიონზე მეტი კუბური მეტრი ქვა (სულ კი 9 მილიონი კუბური მეტრი ქვა უნდა გამოიღონ!), ჩაატარებენ 150.000 კუბურ მეტრ ბეტონის საძუშაოებს, გეგმაბების გასაყვანად გამოანგრევენ 446.000 კუბურ მეტრ კლდეს. ყოველი მათგანი დაიტევს ელექტროსადგურის 12 აგრეგატს. როგორც ინჟინერი ხუან ტაბატაძე გვწერს, ექვსი გეგმაბი უნდა გამოაკეთონ კლდეებში.

სპეციალისტთა და მშენებლთა პირველი ჯგუფი საქართველოდან ასუანში გასული წლის აპრილში ჩავიდა. ისინი წარმატებით შრომობენ, ძლევენ ყოველგვარ სიძნელეებს. სამუშაოზე წასასვლელად, — იწერებიან სპეციალისტები, — ღილის ხუთ საათზე ვდგებით, რათა სიგრილეში ვიშრომოთ. საცხოვრებელი სახლიდან კატარღით მივდივართ, ყოველდღე ორჯერ ვსეირავთ ცისფერ ნილოსს. ძუშაობა სამ ცვლად მიმდინარეობს. ამბატრმ ღამითაც გვიდგება შრომა. დღისით ცხელა. ზოგჯერ ტემპერატურა აღწევს 45-50 გრადუსს ალწევს.

კარგად მუშაობენ გეგრაგბამყვანები და ამფეთქებლები. იაკობ ქარსელაძე დენთის დახმარებით ასობით ტონა ქვას აცლის კლდის გულს.

ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ სპეციალისტთა გულმოდგინე შრომასაც გულისხმობდა „ბურს ეკიპსიენი“, როცა წერდა: „დღეს კაშხალის მშენებლობაზე ერთობლივად შრომობენ ცხრა ათასი არაბი მუშა, 402 საბჭოთა სპეციალისტი, არაბი ინჟინერი და ტექნიკოსი. ისინი დაამორჩილებენ მთებს, რათა მძლავრი ნილოსი ადამიანის მოთვინიერებულ მსახურად გადაიქცეს“.

როცა ეს სტრიქონები სტამბაში იწყობოდა, ასუანს ჯერ კიდევ არ სწყენოდა ქართველ სპეციალისტთა და მეგანიზატორთა ახალი ჯგუფი.

გასული წლის აპრილში ჩასული თბილისელები გულმოდგინედ შრომობდნენ ბ. წულაიძისაკენ ბელორუსელმთა. ახალი ჯგუფის ჩასვლის მეორე-სამი კვირეც უფრო წინ წავიდა.

მშენებლების კოლექტივი, — მოიტანა ამ დღეებში ბ. ტაბატაძემ, — მხლელი ძალღონით შეიპყრო გეგმაბის ... [illegible] ... ᲛᲘᲠᲘᲜᲓᲐᲕᲔ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ამას წინათ პატარა ქალაქ სენ-პოლ-დე-ლეონში (ფინისტერის დეპარტამენტი) მძლავრი დემონსტრაცია გამართეს გლეხებმა, რომლებმაც გალაშქრეს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების დარგში. შეამაყალთა და გადამყიდველთა ახლანდელი სისტემის პირობებში გლეხები იძულებულნი არიან წარმოების თვითღირებულებაზე ორჯერ უფრო ნაკლებ ფასებში გაყიდონ ბოსტნეული.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: არტიმოკის გორები, რაც ფინისტერის დეპარტამენტის გლეხებმა ქალაქ სენ-პოლ-დე-ლეონის მოედანზე გადაყარეს საფრანგეთის მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ტრანსპორტის გაელა შეუძლებელი გახდა.

ფოტო კეისტონ-საკდესისა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲒᲐᲠᲙᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲓᲘᲜᲯᲘ“ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ-ᲜᲘᲪᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲒᲐᲠᲙᲣᲚᲘᲡ ᲓᲘᲜᲯᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲠᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ.

ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲒᲚᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ.

ᲤᲝᲢᲝ ᲙᲔᲘᲡᲢᲝᲜ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲘᲚᲝᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ

ᲖᲘᲠᲝᲡᲘᲛᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 19 ივლისი. (საკდესი). ხიროსიმის უნივერსიტეტის პროფესორმა კიოსო სიმიძუმ გუშინ განაცხადა, რომ ამერიკელების მიერ 1945 წლის 6 აგვისტოს ქალაქ ხიროსიმაში აფეთქებული ატომური ბომბისაგან სასტიკად დაზარალდნენ არა მარტო ისინი, ვინც ქალაქში იყო აფეთქების დროს, არამედ აგრეთვე ისინი, ვინც შემდგომ დღეებში ჩავიდა იქ დაბომბ

სურათზე: თბილისის ვაკის პარკში შადრევანთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სად დავისვენოთ კვირადღეს?

თრიალეთის გზით...

ეკოლოგიური თუ ფიზიკური შრომის შემდეგ კარგია შინაარსიანი დასვენება, ძალღონის მოკრება. ამისათვის საჭიროა გრილსა და სუფთა ჰაერზე ყოფნა.

სად გავატაროთ კვირადღე? ბევრს ეს კითხვა დაებადება. ჩვენი პირველი რჩევა ასეთია: მოდით კვირადღე გაატარეთ მანგლისში, მდინარე ალგეთის ნაპირზე.

საით არის და რას წარმოადგენს მანგლისი?

თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიდის ფართო კეთილმოწყობილი გზატკეცილი, რომელიც გაივლის მთის კურორტებს კოჯორს, კიკეთს, ორბეთს. მგზავრი ავტომანქანით ორ საათში მივა თრიალეთის ქედის ლამაზ კალთებზე გაშენებულ კურორტ მანგლისში, რომელიც მდინარე ალგეთის ხეობაშია. მანგლისი მდებარეობს ზღვის დონიდან 1.214 მეტრ სიმაღლეზე. იგი სამი მხრით გარემოცულია მეტად ლამაზი მთებით, რომელთა კალთები დაფარულია შერეული ტყით.

სასიამოვნოა და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მოგზაურობა თრიალეთის გზით. გაზაფხულზე და ზაფხულში ადამიანს ახალისებს სუფთა ჰაერი და ანკარა წყაროები. არაერთი ექსკურსანტი და ტურისტი მოხიბლულა აქაური ბუნების სილამაზით.

თრიალეთის გზის გაყოლებით ბევრია ისტორიული ძეგლი. ადამიანის თვალს იტაცებს ქართველ ოსტატთა ხელით ნაგები უძოს ტაძარი, ქვემო ქართლის უძველესი ციხე-სიმაგრე აზიელა (ქოროღლი).

კურორტ კოჯორიდან თვალწარმტაცი გადასახედია: აქედან მოჩანს მდინარე ვერის მშვენიერი ხეობა, ცის სივრცეში აზიდული ჭალარა „კავკასიონის მწვერვალები — აუზბეგი და იალბუზი, ხაქართველოს ხიამაყე თბილისი და რუსთავი, ციფრად მოლივლივე თბილისის ზღვა, სამგორის ბარაქიანი ველები.

სამადლოდან ერთი გზა ხელმარჯვნივ უხვევს და ბეთანიისაკენ ეშვება, ხოლო მეორე — ხელმარცხნივ მიემართება კურორტ კიკეთისაკენ, რომელიც განთქმულია ჯანსაღი ჰაერით, აქვეა ერთ დროს ულამაზესი კაბენის მონასტერი, რომელიც ნანგრევების სახით შემორჩენილა.

მანგლისში მისული მგზავრის ყურადღებას მიიპყრობს კურორტის ირგვლივ გაშენებული მშვენიერი ფიჭვნარი, რომელიც დამსვენებელთა სასეირნო ადგილია.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან კურორტის ტერიტორიაზე შეგიძლიათ ნახოთ ძველი მანგლისის ეკლესია, რომლის აშენებას მიაკუთვნებენ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს. ეკლესია თავისი მხატვრობითა და არქიტექტურული გაფორმებით დღესაც იპყრობს მნახველის ყურადღებას. მანგლისის სამხრეთით მდებარეობს ბედენის ხავერდოვანი მთები და მდინარე ალგეთის ხეობა შესანიშნავი ჩანჩქერებით.

მანგლისის ტერიტორიაზე, მის მახლობელ ადგილებში ძველთაგანვე ბევრი მიწისქვეშა გვირაბი ყოფილა. თავისი არქიტექტურით დღესაც იპყრობს მნახველის ყურადღებას ერთ-ერთი მიწისქვეშა გვირაბი, რომელსაც ორი სხვადასხვა განშტოება აქვს. ამ გვირაბის ჩასახსველი იწყება ძველი მანგლისის ეკლესიის ეზოდან. პირველი შტო მიემართება სამხრეთისაკენ დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე და თავდება მდინარე ალგეთის ხეობის სამხრეთ კალთაზე სოფელ პატარა ალგეთის მიდამოებში, ხოლო გვირაბის მეორე შტო, რომელიც გაყვანილია ჩრდილოეთის მიმართულებით, 2 კილომეტრის სიგრძისაა და თავდება საავადმყოფოს მახლობლად.

ხალხი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს, თაობიდან თაობას გადასცემს იმ გმირების სახელებს, რომლებსაც მშრომელი ხალხის ბედნიერებისა და სამშობლოს სიყვარულისათვის თავი გაუწირავთ. ქართველი ხალხის გულში ცოცხლობს სახელი არსენა ოძელაშვილისა, რომელიც მდინარე ალგეთის ნაპირზე მდებარე პატარა სოფელ მარაბდის მკვიდრი იყო. ამიტომაც ხალხმა თავის საყვარელ გმირს მარაბდელი შეარქვა. არსენა მარაბდელმა ბევრჯერ თავშესაფარი ჰპოვა მანგლისის მახლობლად მდებარე ალგეთის ხეობის მარჯვენა სანაპიროს გამოქვაბულში, საიდანაც რისხვად ევლინებოდა მშრომელი ხალხის მტრებს. გამოქვაბულს მრავალი ექსკურსანტი, მოგზაური და დამსვენებელი ნახულობს.

კურორტ მანგლისის ტერიტორია დასერილია მთის პატარა მდინარეებით. მდინარე ალგეთის დიდებული ხეობა ყველა დამსვენებლისა და მოგზაურისათვის სასიამოვნო დროის გასატარებელი ადგილია.

მანგლისის როგორც სამთო კურორტის მაღალ ღირსებას წარმოადგენს ჰაერის მცირე დამტვერიანება, ზომიერი მზის რადიაციის სიუხვე და ხანგრძლივობა, მოწმენდილი დღეები ივნისიდან ოქტომბრამდე, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს. მეცნიერული დაკვირვების საფუძველზე გამორკვეულია, რომ მანგლისის საღი ჰავა ბავშვებზე კარგად მოქმედებს. აქ არის კეთილმოწყობილი ბავშვთა სანატორიუმი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს,

აქვეა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 200-ზე მეტი ოთახი, რომლებიც ინდივიდუალური მოგზაურაკეებისათვის არის განკუთვნილი. მანგლისში მთელი წლის განმავლობაში 18-20 ათასი კაცი ისვენებს და მკურნალობს.

მაშ ვიმოგზაუროთ კვირადღეს თრიალეთის გზით, ვეწვიოთ მანგლისს, მის მიდამოებში გავატაროთ დასვენების დღე! ეს შეგვმატებს ძალას, ენერგიას და მხნეობას.

ი. ასკურავა.

• • •

სურათზე: მანგლისის წიწვოვან ტყეში.

ფოტო გ. გოგობერიასი.

ბუნების წიაღში, ლია ცის ქვეშ

თბილისში ცხელა. ქალაქში ყოველთვის მეტი სიცხე იცის. ამ დროს მშვენიერია ქალაქგარეთ გასეირნება. თბილისის გარშემო ხომ შესანიშნავი დასასვენებელი და გრილი ადგილებია. ანდა უფრო მორსაც შეიძლება წასვლა დასასვენებლად და მშობლიური ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად.

იმ მიზნით, რომ უფრო ორგანიზებულად და საინტერესოდ მოეწყოს მშრომელთა დასვენება, თბილისში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკური ტურისტული კლუბი. ტელეფონის ზარი განუწყვეტლივ წკრიალებს, რეკავენ ფაბრიკა-ქარხნებიდან, დაწესებულებებიდან, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. სთხოვენ დაეხმარონ ტურისტული ლაშქრობის მოწყობაში. მარშრუტი მრავალია და. შეგიძლიათ იმგზაროთ თვითმფრინავით, მატარებლით, მანქანით. კლუბმა უკვე მოაწყო ექსკურსია თვითმფრინავით მოსკოვში, ერევანში, სოხუმში, რკინიგზით — ბაქოში, ერევანში, სოხუმში. ახლო მომავალში გაწერახულია კიევში გამგზავრება. ამის წინათ კლუბმა საინტერესო მოგზაურობა მოაწყო მანქანით. შემდეგი მარშრუტით: თბილისი-მცხეთა-გორი-სოხუმი-ახალი ათონი-გაგრა-რიწა-სოჭი. კლუბს მჭიდრო ურთიერთობა აქვს დამყარებული სხვა ქალაქების საექსკურსიო ბაზებთან. კლუბი იღებს შეკვეთებს ერთდღიან, ორდღიან და

მრავალდღიან ექსკურსიებზე. განსაკუთრებით ბევრი ერთ და ორდღიანი ექსკურსიების მსურველი. ტურისტული კლუბის დახმარებით ბევრი თბილისელი შრომელი ყოველ შაბათ-კვირას მიემგზავრება საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. კარგად ვისვენებთ, ვერთობით, ვეცნობით ჩვენი სამშობლოს წარსულს. ასეთი ექსკურსიები სულიერ საზრდოს მატებს ადამიანს, ეხეოგიას უთავეცებს. ძალიან კარგია მოგზაურობა მშობლიურ მხარეში.

საპროექტო ინსტიტუტის „საქგიპროშახტის“ თანამშრომელმა, უფროსმა ინჟინერმა ს. ქასარაშვილმა, რომელმაც თავისი დაწესებულების კოლექტივთან ერთად ქ. ორჯონიკიძეში იმოგზაურა, გვიამბო:

— ჩვენი ინსტიტუტიდან 45 კაცი ორი პატარა საბარგო მანქანით ამას წინათ ქ. ორჯონიკიძეში გავემგზავრეთ. პირველი გაჩერება ანანურში გვქონდა, სადაც კარგად დაცული ეროსთავების ციხე-სიმაგრე დავათვალიერეთ, მეორე გაჩერება — ფასანაურში. გზადაგზა ვეცნობოდით ღირსშესანიშნავ ადგილებს. მოხიბლულნი დავრჩით დარიალის ხეობის სიდიადით. ქ. ორჯონიკიძეში დავათვალიერეთ ყველაფერი, რაც მოვასწარით. გავიგეთ ბევრი რამ ახალი. უკან რომ მოვდიოდით, გამოვიარეთ ყაზბეგში, სადაც დავათვალიერეთ ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. პირველად ექსკურსიაზე ვარძიაში ვიყავით და იმდენად კარგი იყო მოგზაურობა, რომ გადაწყვეტილი მაქვს ყოველთვის მივიღო მონაწილეობა ამგვარ ღონისძიებებში.

სურათზე: „საქგიპროშახტის“ ტურისტთა ერთი ჯგუფი ქ. ორჯონიკიძის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო ნ. ეგითხანოვისა.

ტურისტული კლუბი მშრომელთა სამსახურში

ლიერეთ გურჯაანი, ყვარელი — ილია ჭავჭავაძის სამშობლო, თელავში — ციხე, წინანდალში — ჭავჭავაძეთა მშვენიერი ბაღი. ყველანი კმაყოფილები ვიყავით. ჩვენი ქარხანა ყოველ შაბათ-კვირას მიემგზავრება სხვადასხვა ადგილებში. კარგად ვისვენებთ, ვერთობით, ვეცნობით ჩვენი სამშობლოს წარსულს. ასეთი ექსკურსიები სულიერ საზრდოს მატებს ადამიანს, ეხეოგიას უთავეცებს. ძალიან კარგია მოგზაურობა მშობლიურ მხარეში.

საპროექტო ინსტიტუტის „საქგიპროშახტის“ თანამშრომელმა, უფროსმა ინჟინერმა ს. ქასარაშვილმა, რომელმაც თავისი დაწესებულების კოლექტივთან ერთად ქ. ორჯონიკიძეში იმოგზაურა, გვიამბო:

— ჩვენი ინსტიტუტიდან 45 კაცი ორი პატარა საბარგო მანქანით ამას წინათ ქ. ორჯონიკიძეში გავემგზავრეთ. პირველი გაჩერება ანანურში გვქონდა, სადაც კარგად დაცული ეროსთავების ციხე-სიმაგრე დავათვალიერეთ, მეორე გაჩერება — ფასანაურში. გზადაგზა ვეცნობოდით ღირსშესანიშნავ ადგილებს. მოხიბლულნი დავრჩით დარიალის ხეობის სიდიადით. ქ. ორჯონიკიძეში დავათვალიერეთ ყველაფერი, რაც მოვასწარით. გავიგეთ ბევრი რამ ახალი. უკან რომ მოვდიოდით, გამოვიარეთ ყაზბეგში, სადაც დავათვალიერეთ ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. პირველად ექსკურსიაზე ვარძიაში ვიყავით და იმდენად კარგი იყო მოგზაურობა, რომ გადაწყვეტილი მაქვს ყოველთვის მივიღო მონაწილეობა ამგვარ ღონისძიებებში.

მოკლედ

□ ტყიბული (საკ. კორ.). აქაური მეცხოველეები ზაფხულს მთის იალაღებზე ატარებენ. ბანაკურ სეზონს მომზადებული შეხვდნენ ხრვილის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები. მთაში ფერმის ტერიტორიაზე წელს აიგო მეცხოველეთა ახალი საცხოვრებელი სახლი. შეიქმნა ბიბლიოთეკა. ამას წინათ მთის ფერმაში ძრავი დადგეს და ელექტრობით უზრუნველყვეს მეცხოველეთა ინვენი და პირუტყვის სადგომები.

□ ახმეტა. (საკ. კორ.). სად არ ამზადებენ ხე-ტყეს ახმეტის სატყეო კომბინატის მუშაკები. მაგრამ ლეჩორიდან მისი გამოწიდეა ჭირდა. და აი კომბინატის მუშაკებმა „სვიანაში“ 750 მეტრი სიგრძის საბაგირო გზა გაიყვანეს. ყოველდღიურად ამ გზით 30 კუბმეტრი მერქანი უნდა გამოზიდონ. ფაქტიურად 50-60 კუბმეტრ მორს ზიდავენ.

□ თერჯოლა. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. დამთავრდა ადმინისტრაციული კაბინეტური სახლის მშენებლობა. აქ არის კლუბი 300 კაცისათვის. სწრაფად შენდება კლუბი სოფელ კვახჭირაში. იგი 400 კაცს დაიტევს.

□ წალენჯიხა. (საკ. კორ.). საკომეურნეო სახსრებით ამენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ხაკიფუს კოლმეურნეობის კლუბ-კინტორა. კოლმეურნეობის კლუბი 300 მაყურებელს იტევს. მუშაობს კინოკამერის მუდმივი დანადგარი.

ტურისტული ბანაკი

გუშინ სტუდენტთა თამაშების შტაბში, სპორტულ ბაზებზე, საერთო საცხოვრებლებში დიდი გამოცოცხლება იყო. ასპარეზობაში მონაწილეობა დიდი ჯგუფი სწორედ ამ დღეს ეწვია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს. აეროდრომზე, რკინიგზის სადგურზე თბილისელები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს.

სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებათა დიდი ნაწილი დღეს იწყება. ეს სახეობებია კალათბურთი, კლასიკური ჭიდაობა, ფრენბურთი, ხელბურთი. კალათბურთის დათმობილი აქვს კიროვის სახელობის პარკის სპორტული მოედანები, კლასიკური ჭიდაობის — ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი, ფრენბურთის — „განჯიადის“ სპორტული მოედანები, ხელბურთის — „დინამოს“ კორტები.

რაპირისტთა დუელი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სტუდენტთა თამაშებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხმლით მოფარიკაკეთა წარმატებას, რომლებმაც გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს.

გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ რაპირისტი ვაჟები. სტარტზე გამოვიდა 85 სპორტსმენი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული დარბაზის საფარიკაო ბილიკებზე მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლები. წარატებით გაიოდიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოფარიკავეები — ა.პორტის ოსტატი ი. ოსიპოვი, რ. დვეიძე, თ. ზაუტაშვილი. მათ ოთხოთხი გამარჯვება მოიპოვეს და მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

კიდევ ორი ჩემპიონი

დამთავრდა სტუდენტთა III თამაშების გუნდური ასპარეზობა ჩოგბურთში. ტექნიკური და ჰუმანიტარული უმაღლესი სასწავლებლების გუნდების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ტარტუს უნივერსიტეტის კოლექტივები. ამ შეხვედრაში გამარჯვება თბილისელებს მიეკუთვნათ. ამრიგად სტუდენტთა III თამაშების ტიტული კვლავ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი გულისმა მოიგო. მეორე ადგილზეა ტარტუ უნივერსიტეტი. ეს ინსტიტუტი კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი.

ფიზკულტურის ინსტიტუტების პირველობის ფინალში დაძაბული ბრძოლა გაიმართა თბილისელ და მოსკოველ თანაკლასელთა შორის. პირველი გამარჯვება თავის გუნდს ბაკრაძემ მოუტანა, როელმაც მოუგო მოსკოველ შულგას. ურაევსკიმ დაამარცხა მოსკოველი საპოშკოვი (6:4, 6:4). მოსკოველმა სკოროდუმოვამ მოუგო თბილისელ დავიდენკოს (6:4, 6:1), დაძაბულად წარიმართა ღოლობერიძისა და გაიდუროვას ორთაბრძოლა. საინტერეაო შეხვედრაში თბილისელმა სტუდენტმა დამსახურებულად გაიმარჯვა — 6:4, 5:7, 6:3. ბაკრაძე-ურაევსკისა და შულგა-საპოშკოვის ვაჟთა წყვილების შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 6:4, 6:1. საერთო ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს თბილისელმა სტუდენტებმა და ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვეს. მეორე ადგილზე მოსკოველები გამოვიდნენ, მესამეზე — უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. ხვალ ასპარეზობაში ჩაებმებიან პირად პირველობაში მონაწილე ჩოგბურთელები.

ლიდერს უმტყუნა

რიგა, 20 ივლისი (საკკადსი). კიევის „სტროიტელის“ ალათბურთელებმა ბალტიკურ რიგის არმიელ ლიდერთა ძლევამოილი წინსვლა და გაიმარჯვეს — 71:65 (38:32).

არმიელები მხოლოდ მატჩის დასაწყისში იყვნენ წინ ექვსი ქულის განსხვავებით. მათ სწრაფ შემოტევას სტუმრებმა დაუპირისპირეს კომბინაციური თამაში, ხელთ იგდეს ინიციატივა და მოიპოვეს საპატიო გამარჯვება.

გუნდს წარმატება მოუტანეს ალბერტ ვალტერმა (16 ქულა), ვლადიმერ სტრეკოფუოვმა და ანატოლი შოლოგონმა (12 ქულა თითოეულმა). არმიელებთან ყველაზე შედეგიანი იყო იანის კრუმინში — 24 ქულა.

„ტორპედო“ — „ნეფტიანიკი“

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში მეორე ქვეჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის **„ტორპედოსა“** და ბაკოს **„ნეფტიანიკის“** გუნდები. შეხვედრის შედეგი 5:0 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

მეთორმეტე ტურის მატჩები

დღეს ჩვენი ქვეყნის ხუთ ქალაქში შედგება საკავშირო ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის მატჩები ფეხბურთში. სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „დინამო“ თავის მოედანზე შეხვდება რიგის „დაუგავას“, ვილნიუსის „ჟალგირისი“— დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს, მინსკის „ბელარუსი“— ხაოკოვის „ავანგარდს“.

დღეს მატჩებს გამართავენ აგრეთვე თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები. დინამოელები გამოელენ კუიბიშევი „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები მოსკოვში შეხვდებიან დედაქალაქის „სპარტაკს“. თბილისის „დინამომ“ პირველ წრეში დაამარცხა „კრილია სოვეტოვი“ 1:0, მოსკოვის „სპარტაკმა“ — ქუთაისის „ტორპედო“ 3:0.

ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔᲐ ᲡᲘᲪᲮᲐᲒᲣᲙᲔ

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

21 ივლისი

18.00 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის — „სახალისო ანბანი“, 18.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გასაღები“, 19.20 — გადაცემა — „ახალი ქართული ფილმები“, 19.50 — კონცერტი, 20.15 — ახალი ამბები, 20.30 — მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე“. ფილმის შემდეგ გადაცემა — „ესტოადის სიახლენი“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

22 ივლისი

პირველი პროგრამით

06.45 — „ვუმღეროთ შრომას“, 08.30 — პოლონელი ხალხის სიმღერები, 09.15 — პოპულარული ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — პოლონური მსუბუქი მუსიკა, 11.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 11.30 — რადიოფეიერალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — სახალხო იხალშვილის კონცერტი, 12.45 — „ვიმღეროთ მეგობრობაზე“, 13.20 — საკვირაო გადაცემათა პროგრამა, 13.30 — მუსიკალური რადიოვექტორინა, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ნაცარქექია“ (მეორე ნაწილი), 14.40 — გადაცემა — „ახალი ოჯახი“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — პოლონეთის აღორძინების დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული გადაცემა, 16.15 — რადიოფეიერალი საბჭოთა არმიის მეუმრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — კონცერტი — „სიმღერები და საცეკვაოები“, 17.40 — პიონერთა სასახლის მოსწავლეთა კონცერტი, 18.10 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“!, 19.00 — რადიოფეიერალი „ჩვენი სოფელი“, 19.30 — „შენ გიმღერით, მშობლიურო ქალაქო!“, 21.00 — რადიოდადგმა კ. ლორთქიფანიძის რომანისა „ნატვრის თვალი“, 22.00 — კონცერტი „ჩვენი სტუმრები“ (ჩეხოსლოვაკიის სიმფონიურ ორკესტრის კონცერტი „პრაღის რადიოტალღით“).

21 ივლისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელოთის კლუბი** (საზამთრო) — თავისი ცოლის ქმარი, **ამირანი** (საზაფხულო) — **უდიპლომო სასიძო, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — ამ ღამით. **ისანი** (საზაფხულო) — გრაფი მონტე-კრისტო (I და II სერია), **თბილისი** — ალბა რეგია.



ქიმია იღებს მოსავალს

შემოდგომაზე თეთრი ფაფუკი თოვლით იფარება ბამბის პლანტაციები. გულს გადაიწლის მილიონობით ბამბის ქულა. კარგია ამ დროს პლანტაციაში საკრეფი კომბაინის გაშვება, მაგრამ...

მექანიზებულ კრეფას ხელს უშლის ფოთოლი. ბამბის კომბაინით აღების დროს ფოთოლი ირევა ნაყოფში და ნაზი ქათქათა ბოჭკო ბეწვის ფერს გადაიკრავს. ბამბის ხარისხი მკვეთრად ეკვეთდება. და აი პლანტაციების თავზე გამოჩნდნენ ვერტმფრენები, რომლებმაც გააბნიეს რაღაც ქიმიური ნივთიერება. გადის ერთი, მეორე დღე, და ფოთოლი მიწაზე ცვივა. უკვე შეიძლება კომბაინების გაშვება.

მაგნიუმის ქლორატი არა მარტო სპობს ბამბის ფოთოლს, არამედ ახმობს ბრინჯის ძირებსაც. როდესაც ბრინჯი მწიფდება, მის ღეროებსა და ფოთლებში დიდი რაოდენობით არის ტენი. ამიტომ ჯერ კიდევ საჭირო ხდება მოსავლის გაყოფით აღება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბრინჯის მარცვლის ხარისხზე.

საკმარისია ერთ ჰექტარზე 20 კილოგრამამდე იაფფასიანი პრეპარატის მაგნიუმის ქლორატის დახარჯვა, რომ ბრინჯი ძირშივე გახმეს. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ უკვე შეიძლება კომბაინით მისი აღება. ამან ბევრად გაიაფა და შეამსუბუქა ბრინჯის წარმოება.

მძიმე ხელით შრომა იყო საჭირო ახალგაზრდა ნერგების ფოთლისაგან გასაშშენდად. ეს კი აუცილებელია, როდესაც ნაკრძალიდან გადააქვთ მსხლის, ვაშლის, ქლიავის ნერგები.

ქიმიური დეფოლიაციის სპეციალური პრეპარატები „დეფ“-ი და „ფოლეკს“-ი ხუთ-ექვსჯერ ამცირებენ დამუშავების ღირებულებას და რვა-ათჯერ — შრომის დანახარჯს.

ქიმიური პრეპარატები, რომლებიც მოსავლის აღებაში გვეხმარებიან, დამუშავებულია მცენარეულობათა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში და ექსპონირებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პავილიონში.

გაცოცხლებული რელიქტები

დასავლეთ გერმანიაში მუშაობენ ისეთ ცხოველთა გამოკვლევაზე, რომლებიც ასობით წლის წინათ გადაშენდნენ. უკვე მიიღეს დომბები — შინაურ ცხოველთა წინამორბედები. დომბას უკანასკნელი ჯოგი გადაშენდა პოლონეთში XVIII საუკუნეში. ამ ცხოველის მხოლოდ ჩონჩხი არსებობს. მეცნიერებმა შეარჩიეს მისი მსგავსი ცხოველები და შეაჯვარეს ისინი. ამასთან აქციენტრირებას აკეთებენ გადაშენებულ დომბას დამახასიათებელ თვისებებზე.

ბოლოს მათ შეძლეს მიეღოთ ხბო, რომელსაც გააჩნდა რამდენიმე ასეული წლის წინათ მცხოვრები დომბას ყველა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.

კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ გამოიყვანეს მთელი ჯგუფი ცხოველებისა, რომლებიც შეიძლება ნამდვილ დომბებად ჩაითვალოს.

შეძლეს აგრეთვე ტარპანის — ასი წლის წინათ გადაშენებული ევროპული გარეული ცხენის აღდგენა. ეს არის თაგვისფერი მოკოჟე და მაგარფაფარინი პონი. მას ისეთი მაგარი ჩლიქები აქვს, რომ უნალოდ, დაუზიანებლად შეუძლია გაიაროს ათასი კილომეტრი.

გუნდითაღი მაღლობა

დუშეთი. (საკ. კორ.). **სარაიონთაშორისო გზეთმა „კომუნიზმის გზამ“ დაბეჭდა მცხეთის რკინიგზის სადგურის უფროსის მოადგილის ბ. კალანდაძის საინტერესო ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია:**

— ამას წინათ მცხეთის სადგურში ჩამოდგა ბათუმ-თბილისის მატარებელი. მესამე ვაგონის გამცილებელმა განაცხადა, რომ ერთი მგზავრი ქალი თავს ცუდად გრძნობს და სამედიცინო დახმარება ესაჭიროებაო. მაშინვე დავუკავშირდით მცხეთის სასწრაფო დახმარების სადგურს. რამდენიმე წუთში ადგილზე გამოცხადდა ექიმის თანაშემწე ვენერა მეხაშიშვილი. როგორც გამოირკვა, ავადმყოფი ფეხმძიმედ იყო და მშობიარობდა. ექიმის თანაშემწემ მას სხვა მგზავრი ქალების დახმარებით კვალიფიციური სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. მალე მგზავრებმა სიხარულით შეიტყეს, რომ მესამე ვაგონში ვაჟი დაიბადა. ახლა დედა და ჩვილი ბავშვი მცხეთის საავადმყოფოში არიან და თავს კარგად გრძნობენ.

მედიცინის მუშაკმა ვ. მეხაშიშვილმა ყველას მადლობა დაიმსახურა.

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

1861 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში ცარიზმის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში რუსი და ქართველი მოწინავე ახალგაზრდობის მხარდამხარ გამოსვლა ახალი საფეხური იყო რუსეთ-საქართველოს საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის განვითარების ისტორიაში.

ამ ისტორიული ბრძოლების მეცნიერულ-პოპულარული გაშუქებას მიეძღვნა დოცენტ ვლადიმერ სიფრაშვილის საინტერესო გამოკვლევა: „პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა და ქართველი სტუდენტობა“, რომელიც გამომცემლობა „ცოდნამ“ გამოსცა. ეს შრომა წარმოადგენს ავტორის მიერ მოსკოვის და ლენინგრადის ცენტრალური და საოლქო ისტორიული არქივებისა და ლიტერატურული წყაროების შესწავლის საფუძველზე დაწერილ გამოკვლევას.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ მოწინავე სტუდენტებსა და რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს შორის იდეურ-რევოლუციური ურთიერთობის დამყარების საკითხების გაშუქებას მიეძღვნა შრომის პირველი თავი — „ილია ჭავჭავაძის მოწინავე ქართველ სტუდენტთა წრე პეტერბურგში“.

ავტორის მიერ საარქივო მასალებით დაზუსტებულია, რომ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ქართველი სტუდენტების წრე წარმოადგენდა ნ. ჩერნიშევსკის ხელმძღვანელობით მოქმედი პეტერბურგის რევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთ ფილიალს. იმ დროს პეტერბურგში ქართველი სტუდენტების წრის გარდა არსებობდა უკრაინელების, ბელორუსების, პოლონელებისა და სხვა წრეები, რომელთაც „ეიროთიანებდა და იდეურ ხელმძღვანელობას უწევდა ნიკოლოზ ჩერნიშევსკი“.

შრომის მეორე თავი — „ახალი საუნივერსიტეტო წესდება და პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობის დაწყება“ მიძღვნილია იმ საკითხების გარკვევისადმი, რომლებმაც გამოიწვიეს მეფის რუსეთის მთელ რიგ გუბერნიებში გლეხთა მოძრაობა და მოსწავლე ახალგაზრდობის მღელვარება.

შრომის მეოთხე თავია: „ნაბეჭდი პროკლამაციებისა და მოწოდებების მასობრივად გამოჩენა, სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა“. აქ გახილულია პროკლამაციები და მოწოდებები: „ახალგაზრდა თაობას“, „მოლოდინი რუსსია“, „რუსსკაია პრავდა“, „რუს სალდათებს“, „რა უნდა ხალხს“ და სხვა; ნაჩვენებია ამ პროკლამაციებისა და მოწოდებების როლი სტუდენტთა მოძრაობის განვითარების საქმეში.

ავტორი აშუქებს 1861 წლის 25 დეკემბერს მომხდარი პეტერბურგის ახალგაზრდობის დემონსტრაციის მომზადებას, ჩატარებასა და შედეგებს, აჩვენებს ქართველი მოწინავე სტუდენტების: ნ. ღოღობერიძის, ბ. ღოღობერიძის, დ. ღოღობერიძის, ნ. ნიკოლაძის, გ. ჯავახიშვილის და სხვების როლს დემონსტრაციის მომზადებასა და ჩატარებაში.

სტუდენტთა მოძრაობის აღმავლობის, ოქტომბერში პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის ახალი დემონსტრაციის მომზადების, პოლიციის მიერ ჩაშლისა და სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრების საკითხები დოკუმენტალურად გადმოცემულია შრომის მეექვსე თავში: „12 ოქტომბრის ამბები პეტერბურგში“. ამ დღეს პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დაპატიმრებულ იქნენ მოწინავე ქართველი სტუდენტები: ბესარიონ ღოღობერიძე, დავით ღოღობერიძე, ვასილ სავანელი, აბელ შანშიაშვილი, ნიკოლოზ შანშიაშვილი, აბელ ზოლოყაშვილი, პეტრე ალბახიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები, სულ 15 კაცი.

შრომის შემდეგ თავებში განხილულია: პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვა, რეპრესიების შემდგომი გაძლერება, პატიმრი ახალგაზრდების მოქმედება პეტრე-პავლესა და კრონშტადტის ციხეებში, მათი გასამართლება და სასჯელის ზომები, ნიკო ნიკოლაძის ქართველ მოწინავე ახ